№ 122 ივნისი 12, სამშაბათი 1890 ივნისი 12, სამშაბათი № 122

# ივერია

გაზეთის ფასი

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუგიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

ამ ნომერში რვა გვერდია

## ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელისაგან

მთავრობის გამოკვლევით ვიცით, რომ ჯერ ისევ შარშან შორაპნისა და ქუთაისის მაზრაში, ქუთაისის გუბერნიისაკენ, ფილოქსერა 14 სოფელსა და თვით ქუთაისის ვენახებში იყო. სენი მოდებული იყო 80 ვერსის მანძილზე, —სოფელ მათხოჯიდამ დაწყებული, ესე იგი სამეგრელოს საზღვრიდამ სოფელ პერევისამდე, დაახლოებით იმ ადგილამდე, სადაც ჭიათურის ქვა-გუნდა ამოდის. ტფილისის გუბერნიის საზღვრამდე თითქმის 25 ვერსის მანძილიღაა დარჩენილი. დასნეულებული ვენახები მომეტებული ნაწილი გადამხმარია და მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი ვენახებისა, რომელთაც მხოლოდ შემდეგ გასჩენია ფილოქსერა, ჯერ კიდევ თავის ჩვეულებრივს ფერზე არის. ასეთი გავრცელება ვენახისათვის მეტად საშიშარის სენისა-კი არა კლებულობს, თანდათან უფრო მატულობს, თუმცა მთავრობა მხნედ შეებრძოლა და ებრძვის ყოველის ღონის-ძიებით. ამის გამო გუბერნიის მთავრობა იძულებულია გააფრთხილოს ვენახის პატრონები და მოუწოდოს, მიიღონ თავის მხრითაც ყოველივე ღონის-ძიებანი, მოსალოდნელის ბოროტების ასაცილებლად და ნუ დაენდობიან მარტო ადმინისტრაციას, რომელსაც მარტოდ-მარტო, თვით მკვიდრთა დაუხმარებლად, არ შეუძლიან, ჯეროვანის სისრულით ებრძოლოს სენის გავრცელებას. ამისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა თავის მოვალეობად მიიჩნიოს იმან, ვისაც ჯერ არს, არ იყიდოს, ან არ გადმოიტანოს ზემოხსენებულის გუბერნიიდამ (მთელი გუბერნია სოხუმისა და ბათუმის ოლქიოურთ საეჭვოა ფილოქსერის მხრით) არც ვაზი და არც ვაზის გასაშენებლად საჭირო მასალა; ხოლო თვით იმ ადგილიდამ, სადაც სენი უკვე მოდებულია, არ უნდა იქმნას გადმოტანილი არავითარი მცენარე, ბალახი, თივა თუ ბზე, გარდა პურისა ხორბლად და გამზადებულის თუთუნის ფურცლებისა. არ უნდა იქმნას გადმოტანილი აგრეთვე სხვა-და-სხვა იარაღი, ვენახის შესამუშავებლად საჭირო, როგორც მაგალითად ბარი, ნიჩაბი, სასხლავი და სხვ. ამ საქმეების შესასრულებლად საჭიროა განსაკუთრებულის ყურადღებით ვადევნოთ თვალ-ყური იმ მუშაებსა და მუშა ხალხს, რომელნიც მოდიან ქუთაისის გუბერნიიდამ და რომელთაც, როგორც შემოწმებულია რამდენჯერმე, ხშირად თან მოაქვთ ზემოხსენებული იარაღი. შემდეგ ამისა ვურჩევთ ვენახის პატრონებს, რომ იმ ვენახების შესახებ, რომლის ვაზიც მოტანილი იყო ხოლმე ამ ათ-თხუთმეტს წლიწადში ქუთაისის გუბერნიიდამ, ან სამეგრელო-გურიიდამ, ან იმ ვენახების შესახებ, რომელიც უფრო მეტად საეჭვოა და შიგ თითქო უმიზეზოდ ხმება ვაზი, დაუყოვნებლივ აცნობონ პატრონებმა ან ადგილობრივს მაზრის უფროსს, ან სახელმწიფო ქონებათა გამგეობას ტფილისის გუბერნიისას, ან გუბერნატორის კანცელარიას, ან და პირდაპირ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, რათა მაშინვე იქმნას მიღებული ღონის ძიება იმ საეჭვო ვენახების დასათვალიერებლად მცოდნე კაცების მიერ.

დასასრულ კვალად ვაფრთხილებ და წინდაწინვე ვაუწყებ ვენახების პატრონებს და ყველა იმათაც, ვისაც ვენახთან რაიმე დამოკიდებულება აქვს, რომ უკეთუ თითონაც ერთობილად და თანხმობით არ შეეწევიან მთავრობას ამისთანა ძნელს და დიდად საყურადღებო საქმეში, ფილოქსერა მალე დაიბუდებს გუბერნიის რომელსამე ალაგას და, რაკი ადვილად იცის გავრცელება, არამც თუ ბევრის კერძო კაცის მეურნეობას დაჰღუპავს, არამედ საყოველთაო საქვეყნო უბედურებად გარდაიქცევა. ხოლო ასეთი უბედურება მით უფრო საშიშია და საზარელი, რომ დიდხანს და დიდხანს არ განქარდება მისგან მოტანილი ზარალი. (3—1)

## ქართული თეატრი

—

(როსსის წარმოდგენები)

სამშაბათს, 12 ივნისს,

მეორედ და უკანასკნელად

**მეფე ლირი**

ტრაგედ. 5 მოქმედ., თხზ. შექსპირისა.

ხუთშაბათს, 14 ივნისს

**ბენეფისი ერნესტო როსსისა**

**ლიუდოვიკო მე-XI**

დრამა 5 მოქმედ., თხზ. დელავინისა

და

**ხრამოვნიკოვთა სიკვდილი**

(La mort des templiers), თხზ. შენიესი.

ამ როლს როსსი ფრანგულს ენაზედ შეასრულებს, რომ უკეთ გაიგოს საზოგადოებამ. ლიუდოვიკო მე-XI პიესისა 500 ცალი ლიბრეტოა დაბეჭდილი.

დასაწყისი 8 საათზედ.

დაკვეთილი ბილეთები დილის 12 საათამდე შეინახება. ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში დილის 10—2½ საათამდე და საღამოს 4½ საათიდგან წარმოდგენის გათავებამდე. ლიბრეტოები: ფრანგულსა, იტალიანურსა და რუსულს ენაზე ისყიდება თეატრის კასაშივე.

თეატრის ადმინისტრაცია მაყურებელ ქალებსა სთხოვს, რომ პარტერში შლაპები მოიხადონ.

ადმინისტრატორი ფორკატტი

## ახალი ამბავი

—

*** 6 მაისს გამართულ ლატარია ალლეგრიდამ, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ, სულ შემოვიდა შესავალი და ლატარიის ბილეთების გაყიდვით 1924 მან. 50 კაპ.

დაიხარჯა ლატარიაში სათამაშო ნივთების საყიდლად, მუსიკისა, მომღერალთა და გიმნასტიკოსების დასაქირავებლად და სხვა საჭიროებაზე 702 მან. 22 კაპ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 1222 მან. 28 კაპ.

გამგეობა „წერა-კითხვის საზოგადოებისა", აცხადებს რა ამას, მოვალედ ჰრაცხს თავის თავს გულითადი მადლობა უძღვნას ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო და ხელი მოუმართა ლატარიის უკეთ მოწყობისათვის.

დიდს მადლობას უძღვნის გამგეობა აგრეთვე: ბ-ნს ალ. რუინაშვილს, რომელმაც თავის ხარჯით გამართა პანარამა სეირნობის დროს და ლატარიისთვის ნივთები შემოსწირა, ქ-ბნს ე. ღ. ფურცელაძეს და გორის საზოგადოებას, კნ. ამერიჯიბისას, კნ. მუხრანსკისას, კნ. ჭავჭავაძისას, თ. ი. კ. მუხრანსკის, თ. რ. ვაჩნაძეს, თ. კახვახიშვილს, დ. ზ. სარაჯიშვილს, ბ-ნთ: ი. გ. ბებურიშვილს, დ. გ. თუთრაძეს და ბ-ნს იანათამოვს, რომელთაც არ დაიშურეს შემოწირულება ნივთებით და ფულად.

*** კვირას, ამ თვის 10, ტფილისში დაბრუნდა ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლით სპარსეთის ელჩი გენერალ-ადიუტანტი მირზა-რიზა-ხანი, რომელმაც მის უდიდებულესობის ნასსრ-ედდინ შაჰის პირველი მეუღლე გააცილა რეშტამდე (სპარსეთში).

*** შაბათს, ამ თვის 10, კავკავის გზაზე გაემგზავრა სურამის უღელტეხილის ხამუშაოთა უფროსი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი რიძევსკი. აქ უნდა დაათვალიეროს ის ალაგები, სადაც სწადიანთ რკინის გზის გაყვანა ამიერ კავკასიის რკინის გზის კავკავისა და როსტოვის რკინის გზებთან შესაერთებლად.

*** ამ ჟამად ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურზე იმყოფება კომმისია, რომელმაც დაათვალიერა ბაქოსა და ბათუმის ყველა დიდი სადგური და სხ. ამბობენ, რომ მთელს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო რკინის გზაზე მსახურნი უსათუოდ რუსეთის ქვეშევრდომნი უნდა იყვნენ და თუ სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომია ვინმე, იმას დაითხოვენო. რკინის გზაში ზოგიერთ მსახურთ ივლისიდგან დაითხოვენ.

*** დღეს, ამ თვის 12, ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში უკანასკნელი ეგზამენებია საღმრთო წერილისა მერვე კლასში.

*** ვისწრაფით შევასწოროთ ის შეცდომა, რომელიც მოგვსვლია განსვენებულ დ. ბაქრაძის ფონდის ანგარიშში. ჩვენ გვქონდა ნათქვამი უკანასკნელად, რომ იყო 729 მან. 72 კ. მივიღეთ კიდევ ხუთმეტი მანათი და ამიტომ შესდგა 734 მანათი. 72 კაპეიკი. უნდა იყოს, 744 მან. 72 კაპ. ასე, რომ დღეს ზემოხსენებული ფონდი არის სულ 753 მან., 72 კაპ.

*** მივაქცევთ ყურადღებას ჩვენის მკითხველებისას იმ განცხადებას, რომელიც ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისაგან ვაზის საშინელ მტრის ფილოქსერის შესახებ. ბ-ნი გუბერნატორი თავის განცხადებაში აფრთხილებს ტფილისის გუბერნიის ყველა ვენახის პატრონებს, რომ თავი გამოიდონ ამ საქმეში, გაფრთხილდნენ თვითონაც და შეეწიონ ადმინისტრაციას საშინელის მტრის საწინააღმდეგოდ ბრძოლაში, რადგან მარტო ადმინისტრაციას არ შეუძლიან მოუაროს როგორმე ამ

## ფელეტონი

### ყოველთთვიური პროვინციელისა

(გურია)

მ ა ი ს ი

მაისი უკეთესი თთვეა წელიწადისა და გაზაფხულის სამეფო გვირგვინის უძვირფასესი მარგალიტა თავის სიმშვენიერით, მეტადრე მგოსნებისა, ესტეტიკოსებისა და სხვა მოცლილ ადამიანთათვის; ხალხის უმეტესი ნაწილი-კი, მხვნელ-მთესველნი, სულ სხვა თვალით უყურებენ მაისს, სხვა საზომითა ჰზომავენ და სხვა გვარად აფასებენ. მათთვის არც ვარდის ეშხით დამთვრალ და „ხელ-ქმნილ" ბულბულთა სტვენა-რაკრაკის მოსმენაა საწუარი და ხელ საყრელი, არც თვითონ ვარდის ათას ნაირად შეზავებული სურნელოვანება და ათას რიგად შეფერადებული და შეხამებული სანახაობა, არც ახლად ჰოსულის მერცხლის ჭიკჭიკი და თავისუფლად ნავარდი და სრიალი ცის სივრცეში, არც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, არც „ბნელ თვალიანი ღამე". ერთის სიტყვით, მრავალი „არც" მოგვინდება, რომ ყველა ის ჩამოვთვალოთ, რასაც მგოსნები გუნდრუკს უკმევენ და ქება-დიდებას სძღვნიან და რაც მხვნელ-მთესველთა გრძნობა-გონებაზე შორს არის. ამიტომ, როცა მაისის ავკარგიანობაზე მოგვდის ლაპარაკი, ძალაუნებურად მხვნელ-მთესველთა საზომით უნდა ავიჭურვოთ და მით გავზომოთ გასაზომი, თორემ დანარჩენთათვის მაისი, რაც უნდა წახდეს და ბოლო მოეღოს, მაინც საქებ-სადიდებელი იქნება.

მხვნელ-მთესველთა თვალში მაისი მაშინ ამაღლდება და მოიხვეჭს სახელს, როცა თავის მეფობაში დედამიწის წიაღი ხშირ-ხშირად და ზომიერად დაულბია ქუჩქუნა წვიმითა, როცა ზომიერი სითბო დაუქერია და ახლად დათესილ ყანებისათვის ნამი და სიგრილე არ მოუკლია, როცა ჯეჯილი „ზურმუხტად აუწვანებია" და ძინძორი ბალახით აუბიბინებია, როცა ხეხილები ქარით არ დაუბერტყია და ვენახები სეტყვით არ შეუმუსრავს. აი, მხოლოდ ასეთ მაისის წინაშე მოიდრეკენ მუხლთა მხვნელ-მთესველნი და ქება-დიდებას მიუძღვნიან შემოქმედს, ხოლო როცა წინააღმდეგის თვისებისა და ხასიათის მაისი გამოტყვრება რომელსამე უბედურს წელიწადში, მხვნელ-მთესველნიც ჩამოუშვებენ ყურებს და სასო-წარკვეთილებას ეძლევიან. „მაისის ავ-ზნეობა მთელის წლის ავ-ზნეობას, უმოსავლობასა და უბარაქობას გვიქადისო", ამბობენ.

მთელის წლისა, რა მოგახსენოთ, როგორი იქნება და წლევანდელი მაისი-კი, დაფარვა როგორ-ღა შეიძლება, ვერ მაისობდა. თავიდამ ბოლომდე თითქმის გოლვითა და სიცხე-პაპანაქებით გაატარა, ხეხილების ერთი მხარე ქვენა ქარს დააბერტყინა და მეორე-კი ზენას და დააბერტყინა რამდენჯერმე. ეს-კია, რომ, გვიპატია ღმერთმა, და სეტყვა არ მოგვივლინა, თორემ სრულიად გავნადგურდებოდით და ის იქნებოდა! ყანების დათესვა აპრილში ვინც მოასწრო, თორემ მაისში ისე გამოხმა დედა-მიწის ზედაპირი, რომ არა თუ თოხი და სახნისი, არამედ წაკატიც ძნელად თუ დაეკარებოდა. ასეთმა ავ-ზნეობამ და უგემურობამ წლევანდელის მაისისამ ბევრი მხვნელ-მთესველი შეაცდინა, ბევრი საყანედ გამზადებული მიწები დაანარჩუნა მოუხნავ-მოუთესავი, რის გამოც წელს შარშანდელზე ნაკლებს მოსავალს უნდა ველოდეთ. ხოლო ნაკლებს ვინ და ჩივის, რომ უმეტესი ნაწილი ყანებისა ნაგვიანევი იქნება და ნაგვიანევ ყანებს ხშირად მოცდენა სდევს ჩვენში. აი რა არის სამწუხარო!

**

არც სხვა ნაირად იყო მაისი სასიამოვნო, და არა თუ სასიამოვნო არ იყო, პირ იქით ძალიან სამწუხარო ამბები გამოატყვრინა და მოგვაწვია თავს. აკეთში გაძარცვა, ჩოხატაურში კაცის-კვლა სულ მაისში მომხდარი ამბებია. გაძარცულისა და მოკლულის ვინაობა ამას წინანდელ წერილიდამ იცით, და რომ არც იცოდეთ, არაფერი მიუტევებელი დანაშაულობაა არც ჩვენთვის, არც თქვენთვის. საქმე იმაშია და ცოდნა იმისია საჭირო, თუ ამ შემთხვევაში მთავრობა რა გზას დაადგა, რა ღონე იღონა და რა საშუალება მიჰმართა დამნაშავეთა აღმოჩენისათვის. რასაკვირველია, ცალკე პოლიცია და ცალკე გამომძიებელი დიდის თავ-გამოდებით ცდილობენ, რათა დამნაშავეთა ახადონ უჩინარობის ფარდა და საჩინო ჰყონ; მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერც ერთსა და ვერც მეორეს უეჭველი კვალი ვერ აღმოუჩენია. ვისზედაც-კი ეჭვი მიიტანეს და გუმანი აიღეს, ზოგი დაპატიმრებულია, ზოგს კიდევ აპატიმრებენ. ხოლო იმის გამორკვევა, თუ რად მოჰკლეს საბრალო მაჩაბელი, ვის რა უნდოდა იმისაგან, ამოცანად რჩება. თუმცა ისიც საკმაოდ გამორკვეულია, რომ მაჩაბელთან ბოროტის ჩამდენელთ სხვაზე არაფერზე არ ჰქონიათ დავა, გარდა სიცოცხლისა, რადგანაც ფული რაც ჰქონდა, სულ მიუცია ავაზაკთათვის და ნივთები კიდევ რაც ებადა, ყველას თურმე აძლევდა, მაგრამ მაინც ვერას გამხდარა საწყალი და სიცოცხლე ამით ვერ დაუფარავს, ვერ შეუსყიდია. ავაზაკებს სასიკვდილოდ დაუჭრიათ და „გადაფურცლულან". დაჭრილსა და დაფლეთილს იმდენი კიდევ უცოცხლია, რომ საკუთარის ხელით დაუწერია იმის ვინაობა, ვისგანაც სიცოცხლის მოსპობას ელოდა. იმის წერილში დასახელებული უკვე შეიპყრეს და სამართალში მისცეს. შეპყრობილია აგრეთვე თვითონ მაჩაბლის მეუღლე. ბევრი სხვებიც არიან დაპატიმრებულნი ამ საქმის გამო, მაგრამ არ ვიცით-კი, მაჩაბლის ასე უდროოდ საიქიოსკენ გამგზავრებისათვის ვის ერგება წილად ციმბირისკენ გამგზავრება!..

ამ სამწუხარო ამბავთან ის სასიამოვნო გარემოებაც უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ ამ გვარ

უბედურებას თვით მკვიდრთა დაუხმარებლად. ფილოქსერა, როგორც გამორკვეულია დღეს, გავრცელებულია, ბრძანებს ბ-ნი გუბერნატორი, მთელს ქუთაისის გუბერნიაში 80 ვერსის მანძილზე სოფელ მათხოჯიდამ, ესე იგი სამეგრელოს სამზღვრიდგან დაწყებული სოფელ პერევისამდე, საცა ჭიათურის ქვა-გუნდა ამოდისო. ტფილისის გუბერნიის სამზღვრამდე ამ ადგილიდგან მხოლოდ 25 ვერსი-ღა თუ იქნება. საზოგადოდ მთელი დასავლეთი საქართველო საეჭვოა იმ მხრით, რომ შესაძლოა, ბათუმისა და სოხუმის ოლქებშიაც იყოს ვაზი ფილოქსერით დასნეულებულიო. ამიტომ ბ-ნი გუბერნატორი აფრთხილებს ყველას, არავინ გადმოიტანოს დასავლეთ საქართველოდგან ან ვაზი, ან სხვა რამ, რაც ვაზის მოსაშენებლად საჭიროა. ხოლო საცა ვაზი დასნეულებულია, იქიდგან ხომ შეუძლებელია სამუშაო იარაღის გადმოტანაც-კი, როგორც მაგალითად, ბარისა, ნიჩბისა, სახლეხისა და სხვ. ამიტომ ვენახის პატრონებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ იმერეთიდგან გადმოსულმა მებაღეებმა არა გადმოიტანონ-რა თან ამისთანაო. ხოლო იმათ, ვისი ვენახიც საეჭვო ყოფაშია, უთუოდ უნდა აცნობონ ან ადგილობრივს პოლიციას, ან სახელმწიფო ქონებათა გამგეობას, ან გუბერნატორის კანცელარიას და ან თვით საფილოქსერო კომიტეტსაო, რათა მცოდნე კაცებმა მაშინვე გაჩხრიკონ და გამოიძიონ, დასნეულებულია მართლა ვაზი იმ ვენახში, თუ არაო.

*** აკეთი: ამას წინად აქ ერთს აქაურს მკვიდრს გლეხს ი. ხ. საზოგადოებამ სამუდამოდ გადასახლება გაუჩინა, რადგანაც ი. ხ. მავნებელ კაცად იქმნა ცნობილი. საზოგადოება ამ შემთხვევაში ისე მოიქცა, როგორც გამოუცდელს დალაქს დაემართება ხოლმე მტკივანის კბილის ამოგლეჯაში, ე. ი. როცა კბილს ზემონაწილს გადასტეხს და ძირს-კი ძვრაც ვერ უზამს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ძირი, ფესვი, რომელზედაც აღმოცენებული იყო ი. ხ—ს ავ-კაცობა ისევ აკეთში დარჩა. ამისთანა შემთხვევაში საზოგადოება ყოველთვის უნდა ეცადოს გაანადგუროს და გააქარწყლოს ის ნიადაგი, რომელზედაც ესა თუ ის ბოროტება იზრდება, თორემ თითო-ოროლას თავიდამ მოშორებით საქმე არ გასწორდება, ბოროტება არ მოისპობა და ავ-კაცობა არ შემცირდება.

*** ოზურგეთი: ამას წინად ვაცნობე მკითხველებს, რომ ოზურგეთში იმართება „ლატარია-ალეგრი" ოზურგეთის დედათა სასწავლებლის სასარგებლოდა მეთქი. გაიმართა კიდეც და წმინდა მოგება დარჩა ყოველ ხარჯის გარდა 510 მანეთი, რომელიც გარდაეცა დანიშნულებისამებრ.

*** გურია: რადგან ოზურგეთში გამართულ „ლატარია-ალეგრი"-საგან, რასაც ვფიქრობდით, თითქმის ორი იმოდენა ფული დარჩა, ამიტომ ამის წაბაძულობით აკეთელებსაც განუძრახავთ გამართონ „ლატარია-ალეგრი" წინამძღვარიანთ-კარის და აკეთის საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ, კვირიკობისთვეში ნავომარის იამუკობაზედ, სადაც დიდი ხალხი იყრის თავს.

*** იქიდამვე: გურიაში წელს საზოგადოდ აბრეშუმი ბლომად არის, მაგრამ სამწუხარო ეს არის, რომ ფასი არა აქვს. ჯერ-ჯერობით, არც არავინ მოსულა გარეშე მყიდველი. მხოლოდ აქაური ვაჭრები თუ იყიდიან 5—6 მანეთად ოყას (3 გირვ.)

*** იქიდამვე: გააუქმეს და დაიშალა ის „სტრაჟები", რომლის დაარსების შემდეგ ათასი და ათი-ათასი ქურდობა და ავაზაკობა მოხდა. გააუქმეს და ხალხმა დიდად სასიამოვნოდ მიიღო ეს ამბავი. ხშირად გაიგონებთ: „გაუკეთდით, ბატონო, კაცი, აწი დაწყნარდება ჩვენი ქვეყანა, მოისპობა ქურდობა და კაცის კვლაცაო".

*** სოფ. კასპი (ქართლი): დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს სოფელში სკოლა დაარსდა, მაგრამ ცოტა ხანშიაც სკოლამ შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ ამ სკოლის შენახვა და ხარჯი მძიმე ტვირთად დააწვა სოფლის გლეხობას. გლეხობა აქ მხოლოდ 120 კომლია და თითოს თითქმის ოთხი და ხუთი მანათი მოსდის წელიწადში სასკოლო ხარჯი. გლეხ-კაცობამ მიჰმართა ამის გამო აქაურს მებატონეებს და სთხოვა შემწეობა ამ საქმეში. არჩეულ იქმნენ სკოლის მზრუნველებად თა—ნი: ზაქარია გიორგის ძე ერისთავი და დიმიტრი ივანეს ძე ამილახვარი. ამათ სთხოვეს ყველა მებატონეებს სოფ. კასპისას და ახლო-მახლო სოფლებისასაც, აგრეთვე თითო-ოროლა შეძლებულ გარეშეთაცა, რომ შემწეობა აღმოეჩინათ კეთილის საქმისათვის, ყველას თავის შეძლებისამებრ. თითქმის ყველამ სიამოვნებით მიიღო ასეთი წინადადება და ჯერ-ჯერობით იტვირთეს ყოველწლის სკოლის სასარგებლოდ: თ. ზ. გ—ძემ ერისთავმა ხუთ-ხუთი თუმანი, თ. დ. ი—ძემ ამილახვარმა თითო-თუმანი, თ. ვენო ი—ძემ ამილახვარმა ხუთ-ხუთი მანათი, თ. ა. გ—ძემ ამილახვარმა ხუთ-ხუთი მანათი. სულ შესდგა ამ გვარად წელიწადში შვიდის თუმნის შემწეობა. იმედია, სხვანიც არ დაიშურებენ შემწეობას და სკოლა მკვიდრ საფუძველზე დადგება, არ დაიშურებენ შემწეობას უფრო იმიტომ, რომ სკოლა თავად-აზნაურთა და სამღვდელოთათვისაც სასარგებლოა, რადგან ადვილად შეუძლიან პირველ დაწყებაში რიგიანად მოამზადოს ბავშვი სხვა რომელსამე დიდს სასწავლებელში მისაღებად.

*** ივნისის ათს პოლიციის პირველს ნაწილში ქალაქის მკურნალმა მრევლიშვილმა პოლიციის ბოქაულის თანდასწრებით დაათვალიერა ტრაქტირები, საჭმლის დუქნები, პურის საცხობები, საკანდიტროები, ხილის დუქნები და სასმლოები და გადააყრევინა სამ ფუთამდე უვარგისი ხილი და 15 გირ. გაფუჭებული ძროხის ხორცი. ყველას პირობის წერილი ჩამოართვა, რომ შემდეგისათვის ფრთხილად იყვნეთო.

*** ამავე დღეს მესამე ნაწილის პოლიციის ბოქაულმა მკურნალის ბეგიჩევისა და ბაზრის ზედამხედველის კორინთელის თანდასწრებით დაათვალიერა ტრაქტირები, საჭმლის დუქნები და სასმლოები. ამათში არავითარი უწესობა არ შეუმჩნევია, მხოლოდ მხილეებს გადუყარა ოთხ ფუთამდე მკვახე ვაშლი და სამი ფუთი ბალი.

*** ივნისის ათს მეცხრე ნაწილის პოლიციის ბოქაულმა ქალაქის მკურნალ მრევლიშვილის თანდასწრებით დაათვალიერა ყველა სილუდლობის დუქნები, სასმლოები, პურის საცხობები, ტრაქტირები, თევზისა და საჭმლის დუქნები და აგრეთვე საკანდიტროები და სადალაქოები, აღმოაჩინა შვიდ ფუთამდე უვარგისი სილუდლობა და სურსათი და გადააყრევინა. მოვაჭრეები გააფრთხილა და უთხრა, თუ შემდეგისათვის კიდევ მოიქცევით ასე უწესოდ, ყველას პასუხის-გებაში მიგცემთო.

*** ამავე დღეს, პოლიციის მეექვსე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებელმა მიხეილ ტერტეროვმა, 15 წლისამ, ჩხუბში დანით დასჭრა ზანგეზურის მაზრის სოფ. არნაუტის მცხოვრებელი ავეტიქ კარაკოზოვი. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს, დამნაშავე-კი შეიპყრეს.

*** ივნისის 10 ტფილისის მცხოვრებელმა მიქელოვმა ჩხუბში ორჯელ დანა დასცა გულში თავის ბიცოლას ბარბარე ტერტეროვისას. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს და დამნაშავე კი შეიპყრეს.

*** ამავე დღეს პოლიციის მეხუთე ნაწილში, იარმუკაში, სერგო მირალოვის სასმლოში, ნაშუადღევის 6 საათზე, მცხეთის მცხოვრებელმა ზაქარია ხიზანოვმა სიმთვრალის დროს დასჭრა მარცხენა გვერდში რაჭის მაზრის სოფ. ბარისის მცხოვრებელი ნიკოლოზ იაკობის ძე სხირტლაძე. დაჭრილობა საშიშარია, დამნაშავე შეიპყრეს და დაჭრილი-კი საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆◆

## უცხოეთი

ინგლისი. ირლანდიელ დეპუტატს, მხნესა და ნიჭიერს მოთავეს ირლანდიის დასისას, დაუწერია საპოლიტიკო შინაარსის რომანი: „როცა პატრონი ვიყავით". რომანი დიზრაელი-ბიკონსფილდის რომანებს არ ჩამოუვარდება ღირსებითა და ჰხატავს ირლანდიის გაჭირებულ ყოფას ოც-და-ათის წლის წინად. ამ რომანის გამო კარდინალი მანნინგი, უფროსი კათოლიკეთა ეკკლესიისა ინგლისში, სწერს ავტორს: „დაგპირდი ჩემი აზრი მომეწერა, როცა თქვენს წიგნს გადავიკითხავდი. მაგრამ კითხვის დროს თანდათან უფრო სულ დამავიწყდა წიგნი და ჩემი ფიქრი იყო მხოლოდ ირლანდია, მისი მრავალ-ტანჯული ბედი და ენით გამოუთქმელი უბედურობანი. ჯერ ისევ ამ რამდენისამე წლის წინადა ვსთქვი, რომ „ირლანდიელნი დიდი ქრისტიანე ხალხია და დიდად მხნე ერი ყველა სხვა კათოლიკე ერთა შორისაო" მეთქი". ამ ერს ხვდა წილად ყოველგვარი ვაება და ტანჯვანი ბარბაროსებრივიცა და ზნეობრივიცა. მისი ხვედრი იყო ყოველივე ის მწუხარება, რომელიც-კი შეუძლიან მიაყენოს ერს ხანგრძლივმა ბრძოლამ ერთის გვარტომობისამ მეორე გვარტომობის წინაამდეგ, ერთის სარწმუნოებისამ მეორის სარწმუნოების საწინაამდეგოდ. მაგრამ უკვე ჰხახლოვებულია ის დღე, როდესაც იგი ერი ყოველ ისფრით და-

საქმეებში ჩვენის მაზრის ახალს მმართველს დიდად ემჩნევა მუყაითობა და ერთგულობა თავის საქმისა. ეტყობა, რომ ფხიანი კაცია. რომ ეს ასეა, ამას სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ ახალმა ადმინისტრატორმა დროებით ჩოხატაურში იბინადრა, რათა ადგილობრივ შეეტყო ყველაფერი, თავის საკუთრის თვალითა და გონებით დარწმუნებულიყო ყველაფერში და მით შეცდომა თავიდამ აეშორებინა. პირველი მაგალითია, რომ მაზრის უფროსს ოზურგეთს გარედ ჰქონდეს ბინადრობა. სხვები ერთის დღითაც ძლივს გადიოდნენ სოფლად. ეს-კი საცა რა მოხდება, ყველგან თვითონ მიდის, თვითონ იძიებს და იკვლევს საქმის გარემოებას და მარტო მამასახლისთა მიერ ვაგლახად შეხანწლილს „პროტოკოლებს" არა სჯერდება. სხვათა შორის ერთს იმისთანა გარემოებას მიაქცია ყურადღება, რაც სხვებს „ფეხებზე ეკიდათ", მაგრამ რაც ძლიერ საყურადღებოა და თუ-კი რასმე დანაშაულობა მიუძღვის ჩვენის მაზრის არევ-დარევაში, პირველობა უსაცილოდ ამ გარემოებას ეკუთვნის. რა არის ეს გარემოება? ეს ის გარემოება გახლავთ, რომ მაზრაში ბევრი უქმი კაცები გვყავს. საკვირველი ისაა, რომ ისეთი კაცები უქმობენ და ცუღლობენ, რომელთაც არც მამული აქვთ, არც დედული, არც თეთრი გააჩნიათ, არც საქონელი; მაგრამ ამაებს არც ერთს აინუნში არ იგდებენ და საქმეს ხელს არ ჰკიდებენ. ერთად-ერთი საქმე (თუ ესეც საქმედ შეიძლება მივიჩნიოთ), რომელსაც ისინი მისდევენ, არის მიმინობა და მწყერობა. ვინ არ იცის: რომ ამ საქმით კაცი ვერც თავის-თავს შეინახავს, ვერც ცოლ-შვილს უპატრონებს და ვერც მტერ-მოყვარეს გაუძღვება. მაგრამ ჩვენი მეწყერე გმირები ისე ახერხებენ, რომ ყველა ანგარიშს კარგად უძლევებიან, და მათი უქმი ხელები შოვნა-მოგებაში საქმიანის კაცის ხელებს აჭარბებს... ამ ხელობაში ისინი ისე გაწვრთნილნი და განვითარებულნი არიან, რომ ძნელად შეიძლება კაცმა შეასწროს თვალი და დაამტკიცოს მათი ბრალდებულობა რომელსამე დანაშაულობაში. მაგრამ ვინ არ იცის, რომ უქმობა დედაა ყოველ-გვარის ბოროტებისა და ძირია ყოველ-გვარის ავ-კაცობისა. ხოლო თუ უქმობასთან ჯიბისა და კუჭის სიცალიერეც ბინადრობს, მაშინ რაღა თქმა უნდა, რომ უქმობისაგან წარმომდგარს ბოროტებასა და ავ-კაცობას წრე და სამზღვარი აღარ დაედება.

აი საითკენ გაიხედა მაზრის უფროსმა გონების თვალით, აი საით მიაპყრო თავისი ყურადღება და მით უსაქმო ვაჟ-ბატონებს „ანგელოზები დაუფეთა", დაუფრთხო და ფერი უცვალა. ზოგთან მუდარა იხმარა, ზოგთან მუქარა და ის აზრი ჩააგონა, რომ თქვენი უქმობა, ეს ერთად ერთი მოწმე კმარა ყველაფრად, კმარა საბუთადაც, საფუძვლადაც და დამტკიცებადაც იმისა, რომ თქვენ წმინდა წყლის კაცები არა ბრძანდებით და ყოველთვის და ყოველგან მკა გაქვთ გაჩაღებული, მაშინ როდესაც არსად და არასოდეს არაფერი დაგითესიათო. გაიჩინეთ საქმე, მოჰკიდეთ შრომას ხელი, თორემ ინანებთო.

როგორც ჰხედავთ, მაზრის უფროსმა სწორედ რომ იქ მიიტანა იერიში, სადაც უნდა მიეტანა და სასურველია, რომ ამ იერიშმა ძლევა მოსილობა და გამარჯვება დაიმარჩუნოს. უამისოდ ჩვენის მაზრის დაწყნარება შეუძლებელია.

ისინი ყოველ ცისმარე დღეს დილიდამ საღამომდე ჯაფასა და შრომაში ატარებენ, ისინი, ვისის ოფლითაც ირწყვება დედა-მიწა და ვისი გამრჯელობითაც რჩება ქვეყანა, სად მოიცლიან ავ-კაცობისათვის! მთელის დღის შრომით არაქათ-გამოლეულისა და ღონე მიხდილ საქმიანის კაცებისათვის ღამე მოსასვენებელი ნავთსაყუდელია, რომელიც დამაშვრალსა და დაქანცულს ადამიანს უკრებს და უმზადებს ძალ-ღონეს სახვალიო შრომისათვის. მაგრამ იმავე დროს ღამე სხვა ნაირს სამსახურს უწევს უქმსა და მაწანწალა კაცებს, რომელთათვის დღე ნებივრობისა და მოსვენების დროა. ღამე ამისთანა კაცებისათვის სწორედ რომ „ურინ-მაჩინის" ქუდია და ძლიერ კარგადაც იყენებენ ამ ქუდს, რადგანაც მათი ავ-კაცობა აქამდის დაუნახავი რჩება. მაგრამ რა დანახვა და რა შენიშვნა! სამწუხარო ის იყო, რომ ეს გარემოება აქამდის არა თუ დაუნახავი, არამედ შეუნიშნავიც რჩებოდა. ხოლო ეხლა, რა-კი შეინიშნა, ვისგანაც ჯერი იყო, იმედია, შენიშვნას დანახვა მოჰყვება და დანახვას—ალვირი და ლაგამი. უმჯობესი-კი არის, რომ საალვიროდ და სალაგმოდ არ გახდეს საქმე. ეს მაშინ მოხდება, თუ ჩვენი უქმი ვაჟბატონები მაზრის უფროსის შენიშვნას მიიღებენ, ურჩობას გაუწევენ „სულსა უქმობისასა" და რამე საქმეს დაადგებიან. უკეთესი არ არის, რომ ის ძალ-ღონე, ის ხერხი და ოსტატობა, ის უნარი და გამჭრიახობა, რომელსაც ისე უხვად და დაუზოგველად ხმარობენ ბოროტების ჩასადენად და რითაც იფარავენ თავიანთ ავ-კაცობას, რომელსამე ცხადს, ალალ, მართალ საქმეს მოახმარონ. დაე შეიგნონ, დარწმუნდნენ, რომ ერთხელაც იქნება, დაძველდება მათი ოსტატობა და „ჩაუვარდებათ კოვზი ნაცარში", „ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს".

„უქმი კაცი ცხოველია, დრო და ჟამის მჭამელი"-ო, უთქვამს მეცნიერს. ნეტავი ვიცოდე, რას იტყოდა იგივე მეცნიერი, რომ ეხლანდელი ჩვენებური უქმი ვაჟბატონები ენახა, რომელნიც არა თუ დროსა და ჟამს სჭამენ, არამედ სხვისის ოფლითა და სისხლით მონაგარს უჟღლ-თვალებენ, რათა მზამზარეული გაურჯელად იგდონ ხელში და მით ამოივსონ ცალიერი კუჭი, შეიმოსონ ტიტველი ტანი და სხვ. საზიზღარია ასეთი ონავრობა და აფთრობა ადამიანისა. ეს ზიზღი ყველაზედ უფრო უნდა იგრძნონ იმათ, ვინც არაფერს დანაშაულობაში და ავ-კაცობაში ბრალნი არ არიან და, სიმართლეს გარდა, არც ცისა და არც ქვეყნის წინაშე სხვა არა მიუძღვით-რა; მაგრამ მაინც ისჯებიან როგორც ზნეობრივად, ისე ქონებრივად ონავარად და აფთრად ქცეულთა ადამიანთა წყალობით. თუ შეუძლიანთ იგრძნონ ეს ზიზღი და გაიმსჭვალონ იმ აზრით, რომ უქმი კაცი საქმიანის კაცის ოფლით არ უნდა ცხოვრებდეს, რასაკვირველია, ადვილად მოახერხებენ ასეთი ტუჩ-პირ არა საკოცნელნი მოიშორონ თავიდამ, გაძევონ საზოგადოებიდამ. ეს მით უმეტეს ეხლაა შესაძლებელი, როცა მაზრის უფროსი ამ საქმეში დიდს თანაგრძნობას აღმოუჩენს და ასწავლის ადგილს, საითაც უქმს ვაჟბატონებს უნდა უჩინონ ბინა. თორემ სანამ ამას არ იქმონენ, მანამ იცოდნენ, რომ მათ ტირილსა და ვაგლახს ბოლო არ მოეღება, მანამ მათი დარბევა და დაწიოკება არ შესწყდება. ნუ მოითმენს მშრომელი ხალხი უქმის კაცების წანწალს საზოგადოებაში! დეე მიხვდნენ და შეიგნონ, რომ ქვეყანა ღმერთმა მშრომელსა და გამრჯელ ხალხს დაულოცა, ხოლო უქმთათვის არა ჰამა განაწესა.

დათიკო ვერმიშაშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილდოვებული იქნება. იმედი მაქვს, რომ მოვესწრები ვიხილო იმ დღის გათიადი, ხოლო თქვენ იქნება შუადღეც იხილოთ, როცა ირლანდიის ერს კვლავ დაუბრუნდება, რამდენადაც შესაძლოა, ნება თვითვე იუფლოს თავის მიწა-წყალზე, როცა მიეცემა ნება მიიღოს მონაწილეობა თავის საკუთარის კანონების შემოღების საქმეში და ამასთანავე განაგრძოს შრომა იმპერიის საზოგადო კანონდებულების შემუშავებისათვისაც.

ბელგია. 29 მაისს იყო არჩევანი დეპუტატებისა. ლიბერალებმა ვერ გაიმარჯვეს ამ არჩევანებზედაც. ბელგიაში ძნელია კენჭის ყრაში მონაწილეობის ნება მოიპოვოს კაცმა, რადგან დიდი ცენზია ამისათვის დაწესებული. ბელგიაში სულ 6 მილიონი ხალხია. ხოლო დეპუტატები 69 იყო ასარჩევი. კენჭოსანთა რიცხვი იყო სულ 45,000 კაცი. ახალ პალატაში იქნება 94 კლერიკალი, 44 ლიბერალი. მაშასადამე, მთავრობას 50 ხმის უმეტესობა ექმნება და კვლავ განაგრძობს თავის პოლიტიკას მხედრობისა და სკოლის გაკლერიკალებისას. გენტში დიდი არეულობაც მოხდა არჩევანების დროს. ბევრი მძიმედ დაიჭრა. მხოლოდ წვიმამ გაჰფანტა მანიფესტანტები.

ავსტრო-ვენგრია. პირდაპირი კაცი ყოფილა ავსტრიის სამხედრო მინისტრი ბაუერი და პირდაპირი, გულახსნილი ლაპარაკიცა ჰყვარებია. 1 ივნისის კრებაზე ავსტრიის დელეგაციაში ასე ულაპარაკნია: ჩემი წინამოადგილე ნაკლებად ზრუნავდა ჯარების მომატებისა და შეთოფ იარაღებისათვისაო. ეხლა ისეთი დროა, რომ ფიქრიც არ შეიძლება იმისი, ვითომ შემცირება შეიძლებოდეს სამხედრო ხარჯისა. ხარჯი უნდა მატულობდეს, ვიდრე სახელმწიფოთა ფიქრი დღევანდელივით მხოლოდ ის იქნება, ვინ ვის გაუსწრებს წინ ჯარების გაძლიერებაშიო. მხედრობა და ჯარი ისეთი დაწესებულებაა, რომ ყოველივე დამოკიდებულია ჯიბრობასა და ცილობაზე. მერმისის ბიუჯეტი ალბად წრევანდელისაზე ნაკლები არ იქნება. წრეულაც უფრო მეტი მინდოდა მომეთხოვნა სახარჯოდ, მაგრამ საფინანსო ყოფა ჩვენის იმპერიისა ისეთია, რომ მეტი ილაჯი არ იყო და ცოტაოდნად შევამცირე. რას იზამთ, როცა ძლიერი მხედრობაა საჭირო, ხოლო ძლიერ მხედრობისათვის დიდი ხარჯიც უნდა გავწიოთ. ეხლა ვერ გეტყვით, რაოდენად უნდა იმატოს ან მხედრობამ, ან ხარჯმა. ეგ იმაზეა დამოკიდებული, რა ყოფაში ვიქნებით შინ და გარედ, ეკონომიურად. ვენგრიის დელეგაციაში ვთქვი, ასი მილიონი მოგვინდება მეთქი, მაგრამ ვინ იცის, შესაძლოა 80 მილიონმა იკმაროს, ან იქნება 120 მილიონიც დაგვჭირდეს. ეხლანდელი ცილობა-ცხრილება ევროპისა ან უნდა უბედურებით გათავდეს, ან და უნდა დამყარდეს სალიანობა მშვიდობიანობის ჩამოგდებით. ჩვენს ჯარს ეჭირვება უკვამლო თოფის წამალი, იმიტომ რომ სხვებმა შემოიღეს. ეხლა ეგ თოფის წამალი ძვირია და, შემდეგში გაიაფდება თუ არა, არავინ იცისო.

დელეგატმა ხლუმეცკიმ მადლობა გადუხადა მინისტრს, ღმერთმა გიშველოთ, რომ გულ-ახდით ილაპარაკეთ, თორემ ბიუჯეტი ისეა შედგენილი, რომ კაცი ბევრგან ვერას მიხვდება და ბოლოს მოულოდნელი უსიამოვნობა გამოდისო. თქვენა ბრძანეთ, რომ უბედურება მოგველის ან სალიანობა მშვიდობიანობის ჩამოვარდნის წყალობითაო. მე მგონია, რომ ამ ორის მოლოდინის გარდა შეიძლება მესამე მოლოდინიც გვქონდეს — შეიძლება ქვეყანას ნიადაგი გამოეცალოს საფინანსო ომის გამო. ასე თუ გასტანა საქმემ, ავსტრია გაკოტრდება და ჩვენი გაკოტრება რა სასიამოვნო უნდა იყოს ჩვენთა მოკავშირეთათვის. აქაო და გერმანია უმატებს ჯარსაო, ჩვენ არ შეგვიძლიან იმიტომ დიდრაჯობა დავიწყოთ. ოსმალეთის მაგალითი გვიჩვენებს, სადამდე შეიძლება მივიდეს სახელმწიფო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ავსტრიის ხალხისთანად არც ერთი ხალხი არ არის შეწუხებული ბეგრითა და ხარჯებითა.

ბოლოს მინისტრმა კიდევ სთქვა, რომ ბიუჯეტით მე არავის მოტყუილება არ მინდაო. ერთა შორის, ცოტა არ იყოს, საფინანსო ომია გამართული; თოფის სროლა-კი არ არის, მაგრამ ერთმანეთს-კი ცდილობენ ბოლო მოუღონ გაღარიბებითა და გაკოტრებითო. ჯარის მომატება მაინც საჭიროაო.

## გამოსადეგი ცნობანი

ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ უკვე თუ კარგა ხანს დარჩა ცივს, გადადუღებულს, წყალში, იმისთანა წვენს გამოიღებს, რომ ყოველგვარ ბაქტერიასა და მათ შორის ხოლერის გამჩენ ბაქტერიასაც ჰხოცავს და, მაშასადამე, გადამდების სენის ასაცდენად ფრიად სასარგებლოა უკვის გამონახადის სმაო. როგორც ამბობენ, ეს გამონახადი რაც უფრო სქელი და მაგარი იქნება და რაც უფრო მეტს დაჰყვს ადამიანი, იმდენად უფრო ძლიერად მოქმედებს ბაქტერიაზეო.

ახალი წამალი ყოველ გვარ გადამდების სენისა. როგორც გაზ. „Врачъ"-ში თ. ვ. პეტერსონი სწერს, ექიმებს ბეგსა და შტილინგს აღმოუჩენიათ ერთი ფრიად იაფი და საუკეთესო წამალი ყოველ გვარის გადამდების სენისა, ჭლექისა, მუცლისა და სხ. და სხ. ამ წამალს ჰქვიან ფიოლეტ-ანილინი და ისყიდება აფთიაქებში.

კვერცხების შენახვა. ახლად დადებული კვერცხი უნდა ჩასდოთ ცოტა მარილ და კირ-ნარევ წყლით სავსე ქოთანში. ყოველ კვირას მიუმატეთ ხოლმე ცოტ-ცოტა წყალ-ნარევი კირი. ამ გვარად შენახული კვერცხი დიდხანს სძლებს თურმე.

ელექტრონი და ღვინის დაყენება. ერთს მამულის-პატრონის სარდაფს მეხი დაეცა და ღვინის ბოჩკები სულ ერთიან დალეწა და მიამტვრ-მოამტვრია თურმე. დაღვრილი ღვინო ერთს დიდს ორმოში მოგუბდა. ღვინის პატრონმა, რომ შეიტყო ეს ამბავი, წაიშინა თურმე თავში ხელი, ასე ეგონა, ღვინო გამიფუჭდაო, მაგრამ მწუხარება მალე სიხარულად გადაექცა: როდესაც ორმოს ღვინო ნახა და გასინჯა, ღვინოს ისეთი სურნელოვანება ჰქონდა, როგორიც მკირფასს და დიდის ხნის შენახულს ღვინოსა აქვს ხოლმე. მეხი ელექტრონია, სხვა არაფერი, და ელექტრონს ახლა ხომ, როგორც ყველამ იცის, ისედაც გასჩენენ ხოლმე. მაშასადამე, შესაძლებელია, რომ ახალი ღვინო ერთბაშად დაამველოს კაცმა ელექტრონის ძალით.

გატეხილის ქოქებისა, საინებისა და სხ. მისაწებებელი და გასამთელებელი საშუალება. მოიღეთ ორი პატარა კოვზი გუმმიარაბიკი, ორი ან სამი პატარა ნაჭერი სასხამებელი და ნიორის ნახევარი კბილი, ჩაჰყარეთ პატარა ჭიქაში და გაჰქენით წყალში. ამასთანავე არ უნდა დაივიწყოთ, რომ სახამებელი ჯერ უნდა დაფშვნათ და მერე უნდა შეურიოთ გუმიარაბიკსა და ნიორს. ორის დღის შემდეგ ჭიქაში იმისთანა წებო დადგება, რომ მშვენივრად მიაწებებს შუშისა, ან საინის ნატეხებს. ვისაც შეძლება არა აქვს, რომ ყოველთვის ახალ-ახალი ჭურჭელი იყიდოს, იმას ვურჩევთ, ამ გვარი წებო იქონიოს, მით უმეტეს, რომ ეს წამალი ჩალის ფასადაც არ დაუჯდება: გუმიარაბიკი, სახამებელი და ნიორი მეტად ადვილად საშოვნელია.

# დეპეშები

9 ივნისი

ვენა. პეშტის გაზეთები იუწყებიან, რომ პანიცას მალე დახვრეტავენო.

სტამბოლი. ულემნი და სოფტები უკმაყოფილონი არიან, ხონთქარი დიდძალ ფულს რად ჰხარჯავს საზღვარგარეთის სახელმწიფოების ელჩებისა და სხვა ქრისტიანებისათვის წვეულებასა და საჩუქრებშიო, მაშინ როდესაც ქვეყანა გასაწყლებულია და გაღატაკებულიო. თავიანთი უკმაყოფილება სოფტებმა საჯაროდ კრებაზედ გამოაცხადეს. ამ გარემოებამ ხონთქარი ძალიან დააფიქრა, ეჭვით დაუწყო ყურება თავის მახლობელთ და ბრძანებაც გასცა, რომ გამოიძიონ სოფტების საქმეო. სამშაბათიდგან სასახლის ალაყაფის კარებთან დარაჯი სდგას და არავის აძლევს ნებას სასახლეში შესვლისა და გამოსვლისას.

სოფია. სამხედრო საკასსაციო სასამართლომ დაამტკიცა პანიცისა და ამის ამხანაგების შესახებ დადგენილი გარდაწყვეტილება.

ბერლინი. „Allgm. Reihs-Corresp." იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ ნება დართო ბირჟაზედ ატრიალონ და ნაღდს ფულზედ ჰყიდონ ახალი ობლიგაციები ვარშავ ვენის რკინის გზისაო. ზოგიერთის გაზეთის სიტყვით, ეს გარემოება იმას მომასწავებელია, რომ გერმანიაში რუსეთის ფონდებს მტრულად აღარ ეკიდებიანო.

10 ივნისი

ვარშავა. სამხედრო სასამართლომ ხედლეცში მყოფის ნარვის დრაგუნის პოლკის სამს ჯარის-კაცს ვახმისტრის მოკვლისათვის დახვრეტა გადაუწყვიტა. ბრალდებულნი უკვე დახვრიტეს.

# განცხადებანი


„სიჭაბუკის ცოდვა"
ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დავაჯდებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.
თხზ. დ—რის ლორენცისა.
რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.
ფასი ერთი მანათი.
ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.
წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.
საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.
(40—7)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი ისტორიული
პოემა
«კიკოლას ნაამბობი»
აკაკისა.
ფასი 20 კაპ. (6—5)

სახის სილამაზე
არყის ხის ემულსია
ა. ენგლუნდის კოსმეტიკი.
ეს საშუალება გამოგონილია სახის ჭორფლისა, ლაქისა, მუწუკისა, ფერის-მჭამელასი და სხვ. წინააღმდეგ. არყის ხის ემულსის ხმარების დროს სახის კანი ძალიან ნაზი ჰხდება და სითეთრე-სისპეტაკე ეძლევა, ჭმუხვნსა და ნაყვავილარს შეუმჩნეველს აქცევს. ეს ემულსია ზამთარში დიდად საჭიროა კანის დასკდომისაგან, რომელსაც სიცივე და ყინვა გამოიწვევს ხოლმე. თითო შუშა ღირს გაგზავნით 3 მან. სიფრთხილის ასაცილებლად გთხოვთ, რომ ყოველს ეტიკეტზედ ნახოთ წითელის მელნით მოწერილი ა. ენგლუნდის გვარი და სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიის მარკა. უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, უმთავრესს საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზე, 38.
5—2

კბილი ალარავის წამოსტკივდება
თუ იხმარებენ
ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს
სულიაკის სააბატოში (GIRONDE)
ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ
და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული
ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში სასიამოვნო გემო ეძლევა.
ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.
ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.
ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.
უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.
(208—19)

დაიბეჭდა და ისყიდება „ქართველთა ამხანაგობის" წიგნის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩ. ზუბალოვ ს სახლი) გ. ჩარკვიანის გამოცემული ახალი წიგნი
წყალობა
პოემა ანტონ ფურცელაძისა
ფასი 20 კაპ.
(5—4)


ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 18 § ის ძალით ქვემო აღნიშნულს რიცხვებში ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გაყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 § ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა და სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივის ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, იმას შეუძლიან გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 31 ივლისს 1890 წ.

ვაჭრობა 16 ივლისს 1890 წ.

$18^7/_{12}$ წლიანნი სესხნი

ქ. ქუთაისს

კარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15,42 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 233 მ. 65 კ. შეს. გარ. 67 მ. 92 კ., სულ 301 მ. 57 კ.

დარასველიძისა, მიხეილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი, მიწა 312 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2531 მ. 5 კ. შეს. გარ. 500 55 კ., სულ 3031 მ. 40 კ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ვოკზლის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 4347 მ. 23 კ. შეს. გარ. 913 მ. 11 კ., სულ 5260 მ. 34 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი სარდაფით და მიწა $103^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1206 მ. 88 კ. შეს. გარ. 312 მ. 82 კ., სულ 1519 მ. 70 კ.

დიასამიძეთა: ნესტორ და სამსონ-

მიხეილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1265 მ. 9 კ. შეს. გარ. 248 მ. 8 კ., სულ 1513 მ. 17 კ.

მემკვიდრეთა ხელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას ძის: გარდასრული ეკატერინე მიქელაძეზე: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 442 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 758 მან. 91 კაპ. შეს. გარ. 162 მან. 78, კ. სულ 921 მ. მან. 69 კაპ.

ალიბეგოვთა: ალექსანდრე, იოსებ და ივანე ხვთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 ოთხ-კუთხი საჟ, თავნი ვალი 634 მან. 32 კაპ, შეს. გარ. 148 მან. 1 კაპ. სულ 782 მ. 33 კაპ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართლიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 54 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 679 მ. 40 კ, შეს. გარ. 126 მ. 64 კ., სულ 806 მ. 4 კ.

ზაიცევისა, ევლამპი და ელისაბედ: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლები და მიწა 81 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 815 მ. 44 კ. შეს. გარ. 125 მ. 77 კ., სულ 941 მ. 21 კ.

ალიბეგოვთა: იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევ ი ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 580 მ. 24 კ. შეს. გარ. 114 მ. 20 კ., სულ 694 მ. 44 კ.

მემკვიდრეთა ალხაზოვისა, ივანე კაციას ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 334 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 1436 მ. 54 კ. შეს. გარ. 230 მ. 2 კ., სულ 1666 მ. 56 კ.

ღორთქიფანიძისა, ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 923 მ. 69 კ. შეს. გარ. 171 მ. 82 კ., სულ 1095 მ. 51 კ.

რუხაძისა, კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 ოთი-კუთხი საჟ. თავნი ვალი 697 მ. 38 კ. შეს. გარ. 115 მ. 5 კ., სულ 812 მ. 43 კ.

დოდობერიძისა, ნიკოლოზ ზაალის ძის: გარდასული ეკატერინე ლოლობერიძეზე გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1625 მ. 89 კ. შეს. გარ. 306 მ. 68 კ., სულ 1932 მ. 57 კ.

გეგელაშვილისა, ანტონ სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 439 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 541 მ. 95 კ. შეს. გარ. 106 მ. 88 კ., სულ 648 მ. 83 კ.

რუხაძისა. ვასილ ბუჭუას ძის და ახობაძისა, სტეფანე ანდრიას ძის: ორპირის ქუჩასე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა $91^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1409 მ. 1 კ. შეს. გარ. 198 მ. 52 კ., სულ 1607 მ: 53 კ.

მესხისა, მიზარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 189 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1625 მ. 83 კ. შეს. გარ. 286 მ. 20 კ., სულ 1912 მ. 3 კ.

მატარაძეთა: მიხეილ, ივანე და იოსებ დიმიტრის ძეთა: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 650 მ. 28 კ. შეს. გარ. 79 მ. 13 კ., სულ 729 მ. 41 კ.

ნაიტაკისა, ანნა ბესარიონის ასულის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 216 მ. 74 კ. შეს. გარ. 35 მ. 81 კ., სულ 252 მ. 55 კ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაელის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 ოთხ-კუთხი საჟ., 1 ოთხ-კუთხი ალაბი. თავნი ვალი 2601 მ. 41 კ. შეს. გარ. 427 მ. 76 კ., სულ 3029 მ. 17 კ.

ხურცაძისა, თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე მიწა 860 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 270 მ. 79 კ., შესავ გარდასახადი 41 მან. 34 კაპ. სულ 312 მ 13 კ.

ჩარკვიანისა, გიორგი ოქროპირის ძის: წუ ლუკიძის შესახვევში ორისახლი—ერთი ორ სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 63 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 433 მ. 56 კ. შეს. გარ. 99 მ. 40 კ, სულ 532 მ. 96 კ

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 8006 ოთხ-კთთხი საჟ. თავნი ვალი 650 მ. 30 კ. შეს. გარ. 118 მ. 25 კ., სულ 768 მ. 55 კ.

შავგულიძისა, იოსებ შაქარას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 2516 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1354 მ. 82 კ. შეს გარ. 245 მ. 44 კ., სულ 1600 მ. 26 კ.

ალავიძეთა: ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 683 მ. 81 კ. შეს. გარ. 100 მ. 17 კ., სულ 783 მ. 98 კ.

ბინიაურიშვილთა: აროინ, დავით, ისხაკა და მიხეილ ელოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 7 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1937 მ. 54 კ. შეს. გარ. 282 მ. 40 კ., სულ 2219 მ. 94 კ.

გაბუნიასი, მიხეილ ბექანის ძის და მაგანიასი, ოთარა დუტუს ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა და მეორე ხისა და მიწა 103 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 569 მ. 86 კ. შეს. გარ. 90 მ. 40 კ. სულ 660 მ. 26 კ.

მაჩიტაძისა, ტერენტი გიორგის ძ ს: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 569 მ. 89 კ. შეს. გარ. 107 მ. 23 კ., სულ 677 მ. 12 კ.

მარჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას ძის: არქიერის გორაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, ბაღით, და მიწა 1800 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1538 მ. 63 კ. შეს. გარ. 257 მ. 2 კ, სულ 1795 მ. 65 კ.

შერგელაშვილისა, სიმონ და ნიქაშავიძისა, ბეკო: ლევაშოვის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 162 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 227 მ. 94 კ. შეს. გარ. 63 მ. 23 კ., სულ 291 მ. 17 კ.

შაშუაშვილისა: შალომა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 8 ოთხ-კუთხი საჟ. 5 ოთხ-კუთხი ალაბი. თავნი ვალი 2393 მ. 32 კ. შეს. გარ. 349 მ. 26 კ., სულ 2742 მ. 58 კ.

მემკვიდრეთა აბულაძისა, ანტონ იოსების ძის: ქარვან-სარაის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 286 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2984 მ. 66 კ. შეს. გარ. 380 მ. 86 კ., სულ 3365 მ. 52 კ.

ბლოტნიცკისა, თეკლე გაბრიელის ასულის: ლევაშოვის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი ქვითკირისა და ხისა და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 417 მ. 98 კ., შეს. გარდ. 80 მან., 57 კ., სულ 498 მ. 55 კ.

ბუზიაშვილთა: არონ იაკობის ძის, შამოელ, მიხეილ და რაფაელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 ოთხ-კუთხი საჟ. და 5 ოთხ-კუთხი ალაბი. თავნი ვალი 2387 მ. 84 კ. შეს. გარ. 315 მ. 60 კ., სულ 2703 მ. 44 კ.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 72 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 1790 მ. 84 კ. შეს. გარ. 280 მ. 54 კ., სულ 2071 მ. 38 კ.

კანდელაკისა, ბესარიონ ოქროპირის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2387 მ. 84 კ. შეს. გარ. 294 მ. 21 კ., სულ 2682 მ. 5 კ.

ღორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 8468 მ 94 კ. შეს. გარ. 1309 მ. 58 კ., სულ 9770 მ. 52 კ.

მოსეშვილისა, ალექსი იოსების ძის: ლაზარეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 103 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 477 მ. 58 კ. შეს. გარ. 57 მ. 24 კ, სულ 534 მ. 82 კ.

უტულოვისა, მარიამ ალექსის ასულის: მიხეილის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1126 მ. 71 კ. შეს. გარ. 147 მ. 96 კ., სულ 1274 მ. 67 კ.

ჩარკვიანისა, ეკატერინე ანდრიას ასულისა მთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 423 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 477 მ. 62 კ., შეს. გარ. 78 მ. 52 კ, სულ 556 მ. 14 კ.

ჭედიასი, პეტრე დავითის ძის: ლევაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 157 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 3 8 მ. 10 კ. შეს. გარ. 75 მ. 45 კ., სულ 433 მ. 55 კ.

ჯიმშეროვისა, დომინიკა ნიკოლოზის ასულის: გემნაზიის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლები—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 241 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 7360 მ. 84 კ. შეს. გარ. 1089 მ. 21 კ., სულ 8450 მ 5 კ.

გაბაევისა, ისიდორე გიორგის ძის: ლაზარეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1869 მ. 84 კ. შეს. გარ. 243 მ. 87 კ., სულ 2113 მ. 71 კ.

ისაკვისა, მიხეილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 997 მ. 12 კ. შეს. გარ. 150 მ. 69 კ., სულ 1147 მ. 81 კ

მურუსიძისა, ალექსი გრიგოლის ძის: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 86 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 747 მ. 83 კ. შეს. გარ. 79 მ. 16 კ.; სულ 826 მ. 99 კ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ხის სახლი და მიწა 422 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1184 მ. შეს. გარ. 170 მ. 76 კ., სულ 1354 მ. 76 კ.

მდივნისა, ბესარიონ მიზარბეგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 1575 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1558 მ. 19 კ. შეს. გარ. 237 მ. 92 კ., სულ 1796 მ. 11 კ.

ფიჩხაძისა, შამუელა და მანუახა შაფათას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 6,3 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1246 მ. 56 კ. შეს. გარ. 141 მ., სულ 1387 მ. 56 კ.

საფაროვისა, სალომე სიმონის ასულის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 60 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1308 მ. 83 კ. შეს. გარ. 238 მ. 40 კ., სულ 1546 მ. 23 კ.

ცულუკიძისა, პეტრე ბასილის ძის: ალექსანდრეს და ტფილისის ქუჩებს შუა ორი ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 237 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 3739 მ. 53 კ. შეს. გარ. 485 მ. 28 კ., სულ 4224 მ. 81 კ

მისივე: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა $7^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1121 მ. 74 კ. შეს. გარ. 148 მ. 42 კ., სულ 1270 მ. 16 კ.

ჩარექოვისა, პეტრე იოსების ძის: გარდასრული სტანისლავა ჩარახჩიანზე ქარვან სარაის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 148 ოთხ კუთხი საჟ თავნი ვალი 3116 მ. 17 კ. შეს. გარ. 357 მ. კ. 22 კ., სულ 3473 მ. 39 კ.

ჩხეიძისა, იოსებ მაჭუკას ძის: გარდასული, საზოგადო ვაჭრობით, მღვდლის გიორგი ანდრიას ძეს მაჭავარიანზე: ლევაშოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 247 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 4738 მ. 45 კ. შეს. გარ. 607 მ. 36 კ., სულ 5345 მ. 81 კ.

ჩარკვიანთა: ალექსი და გიორგი სპირიდონის ძეთა: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 527 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1134 მ. 57 კ. შეს. გარ. 167 მ. 38 კ., სულ 1301 მ. 95 კ.

შავგულიძეთა: პავლე და ლევან გიორგის ძეთა და დიმიტრი გრიგოლის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ სართულიანი ქვითკირის სახლები და მიწა 215 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 934 მ. 80 კ. შეს გარ. 143 მ. 43 კ., სულ 1078 მ. 23 კ.

შავგულიძისა, თედორე სიმონის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 395 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 249 მ. 30 კ. შეს. გარ. 57 მ. 1 კ, სულ 306 მ. 31 კ

აბულაძისა, ნიკოლოზ გიორგის ძის: გეგუთის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიან სახლი და მიწა 250 ოთხ-კუდხი საჟ. თავნი ვალი 5190 მ. 27 კ. შეს. გარ. 778 მ. 89 კ., სულ 5969 მ. 16 კ.

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: ტფილისის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 105 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2335 მ. 65 კ. შეს გარ. 383 მ. 60 კ., სულ 2719 მ. 25 კ.

ადტესი, ალექსანდრა კონსტანტინეს ასულის: გარდასული თინგიზ დადეშქელიანზე: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1317 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 5190 მ. 27 კ. შეს. გარ. 493 მ. 86 კ., სულ 5684 მ 13 კ.

ბინიაურიშვილისა, აბრამ მოშას ძის: გელათის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა $77^1/_2$ ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 1167 მ. 77 კ. შეს. გარ. 194 მ. 56 კ., სულ 1362 მ 33 კ.

დამბაშიძისა, ესტატე ბესარიონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 153,57 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 648 მ 79 კ. შეს. გარ. 111 მ. 70 კ, სულ 760 მ. 49 კ.

ქავჯაიასი, ელიზბარ ოტიას ძი: ორპირის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 600 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1297 მ. 62 კ. შეს. გარ. 113 მ., სულ 1410 მ. 62 კ.

დავითაშვილისა, ისრაილ ელოს ძის: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8,3 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2595 მ. 17 კ. შეს. გარ. 374 მ. 53 კ., სულ 2969 მ. 70 კ.

ზალინოვისა, ბარბარე ზაქარიას ასულის: ივანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, სარდაფით და მიწა 840 ოთხ-კუთხი საჟ თავნი ვალი 1297 მ. 53 კ. შეს. გარ. 243 მ, 99 კ. სულ 1541 მ. 51 კ.

მატარაძისა, სპირიდონ ანდრიას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 58 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 1622 მ. 8 კ. შეს. გარ. 188 მ. 90 კ., სულ 1810 მ. 98 კ.

ფსხაძისა, იაკობ ივანეს ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 57 ოთხ კუთხი საჟ თავნი ვალი 1622 მ. 6 კ. შეს. გარ. 194 მ. 3 კ. სულ 1816 მ. 9 კ.

ფურცხვანიძისა, ივანე გიორგის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 193 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 519 მ. 2 კ. შეს. გარ. 96 მ. 28 კ., სულ 615 მ. 30 კ.

რიყიანაშვილისა, სიფორა ელოს ასულის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 71 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 778 მ. 52 კ., შეს. გარ. 137 მ. 82 კ, სულ 916 მ. 34 კ.

რუხაძისა, ლუკა ნიკოლოზის ძის და ახვლედიანისა, იასონ: გეგუთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 79 5 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 324 მ. 31 კ. შეს. გარ. 62 მ. 94 კ, სულ 387 მ. 25 კ.

ხანანაშვილისა, შამუელა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 3 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 583 მ. 89 კ. შეს. გარ. 83 მ. 76 კ., სულ 667 მ. 65 კ.

შავლაძისა, ევდოკია და კანდელაკისა, იულიტა: ტაიგულის შესახვევში ორ-სართულიანიანი ხის სახლი და მ წა და ბაღი 1300 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2595 მ. 17 კ. შეს. გარ. 171 მ. 85 კ., სულ 2767 მ. 2 კ.

კუჩუკისა, ევგენე იოსების ასულის: ბალახვანის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლები ქვითკირის, და ხისა და მიწა 87 ოთხ-კუთხი საჟ თავნი ვალი 808 მ. 29 კ. შეს. გარ. 131 მ. 21 კ. სულ 939 მ. 50 კ.

სერჩენკოსი, კუზმა პროკოფ ს ძის: გარდასული მიხეილ შნეიდერზე: მეორე ქუჩაზე ალექსანდრეს სლობოდაში, სამი ერთ-სართულიანი სახლები და მიწა 205 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2020 მ. 73 კ შეს. გარ. 255 მ. 71 კ., სულ 2276 მ. 44 კ.

თუმანოვთა: პავლე და ლევან ალექსანდრეს ძეთა: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურთა, სამი ქვითკირის სახლი, ერთი ორ-სართულიანი და ორი ერთ-სართულიანი და მიწა 7334 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი 20207 მ. 38 კ შეს. გარ. 2820 მ. 93 კ., სულ 23028 მ. 31 კ.

ხითაროვისა, პეტრე ივანეს ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა $22^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 875 მ 71 კ. შეს. გარ. 118 მ. 65 კ., სულ 994 მ. 36 კ.

წურინოვისა, გლახუა გრიგოლის ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 75 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 673 მ. 64 კ. შეს. გარ. 106 მ. 44 კ., სულ 780 მ 8 კ.

ჭოლოშვილისა, ალექსანდრე ბეჟანის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 462 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1347 მ 19 კ. შეს. გარ. 200 მ. 20 კ., სულ 1547 მ. 39 კ.

გაბელიასი, ბესარიონ და მოგელაძისა ალექს, თუმანიძის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 147 ოთხ კუთხი საჟ თავნი ვალი 673 მ. 58 კ შეს. გარ. 86 მ. 20 კ., სულ 759 მ. 78 მ.

ასათიანისა, ლუკა ნიკოლოზის ძის: გოშპიტლის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 310 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 4883 მ. 51 კ. შეს. გარ. 658 მ. 41 კ, სულ 5541 მ. 92 კ.

ჯანელიძისა, ბაბეა გრიგოლის ძ ს: გარდასული ნიკოლოზ ჩიკვაიძეზე: გვგუთის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 151 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1744 მ. 16 კ. შეს. გარ. 193 მ. 71 კ., სულ 1937 მ. 87 კ.

ერისთვისა, დავით გრიგოლის ძის: ნემეცის ქუჩის შესახვევში ორი სახლი, ერთი ქვითკირისა ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი ხისა და მიწა 357 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2790 მ. 56 კ. შეს. გარ. 393 მ. 50 კ, სულ 3184 მ. 6 კ.

ქორქაშვილისა, ლუკა დავითის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 774 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 8371 მან. 80 კ. შეს. გარ. 1027 მ. 38 კ, სულ 9399 მ. 18 კ.

